წელიწადი მე-2 სამშაბათი, 20 დეკემბერი

სამშობლო

ფასი 5 კ.

გაზეთის ფასი:
წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან [illegible] ბეჭდ განცხ ლებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 [illegible] გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 512 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 512

დაიწყო ჩვენს გაზეთზე ხელის მოწერა 1917 წლისათვის

გაზეთის ფასი: ერთის წლით 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
ერთის თვით 1 50 კაპ.

თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან.
წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილნაწილათაც: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისათანავე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანეთიც ივნისის გასულს.

რედაქციის კონტორა ღიაა დილის 8 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევს 5 საათიდან 8 აათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქუჩა, სახლი მიქელაძისა.
დეპეშისათვის: ქუთაისი „სამშობლო“.

რედაქტორი—ი. თ. ცინცაძე.
გამომცემელი **ამხანაგობა „სამშობლო“.**

სამშაბათს, 20 დეკემბერს, საფირჩხიის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორი წლის წირვა და პანაშვიდი **ექიმის**

ერმილე სოფრომის ძის ხუნდაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ქვრივი ნატალია დომიტრის ასული შვილებით. პანაშვიდი დაიწყება 11 საათზე.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 16 დეკემბრიდან ახალი პროგრამა.

ნაჩვენები იქნება უმაღლესი ნებართვით ცნობილ პოლკოვნიკის ესაძეს მიერ გადაღებული კავკასიის მამაცი არმიის

გასაოცარი გმირობანი ეს სურათი ბრძოლის ველზეა გადაღებული, ზარბაზნებისა და თოფის სროლის დროს.

ეს სურათი კავკასიის ჯარის მამაცობის მთლიან სურათს იძლევა.

„სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვების შვილები“.
ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის“ საშუალებით შეიძინა საუკეთესო ხარისხის (ინგლისის) დიდძალი პარტია

შაბიაბანი და გოგირდი. შაბიაბანის შეძენა შეუძლიათ: სასოფლო ბანკებს, კოოპერატივებს და კერძო მევენახეებს **ქუთაისის გუბერნიის მევენახეობის და მეღვინეობის „კომიტეტის“ მიერ მიცემული მოწმობით,** რომელიც საქონლის შეძენისას წარმოდგენილი უნდა იქნეს **სავაჭრო სახლში.** 6—2

ექიმი ი. ჩარქვიანი ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12\frac{1}{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი: ლვოვშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ.
ტელეფონი № 135. თ.

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ და საღ. 6—8 საათ.
ც-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ

ექიმი ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცვის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩარანიძის (წულეისკირისეული)

ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავადმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე
პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3
ტელეფონი № 101. თ.

ექიმი მულინი, ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.
თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაპარიძისა.

ოდესის საბებიო კურსებ დამთავრებული

ბებია ს. ს. ნიმსაძისა უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავადმყოფთ რჩევა დარიგებას. მისამართი: ოლდენბურგის ქუჩა, ბებელაშვილის სახლები, ფოსტის მახლობლათ

ბებია მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს
ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

ვისაც თვალები ტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული, მიმართეთ ქ. ქუთაისში თეთრ ხიდ გაღმა გოშპატლის კარებთან ჭეიშვილის სახლში **მიხეილ კაშიას,** რომელმაც მე მომარჩინა ბოლში უპერაციოთ **ვარლამ ხუჯაძე.**

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი

მარიამ ტ. გალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ხაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლი № 17.

ს.-მ. ბ. მიწის მზომელი ვ. ს. ასათიანი
ადგენს მამულების პლანებს, აწვდის მიწის შეძენის მსურველებს უტყუარ ცნობებს ქართლ-კახეთ-აფხაზეთის ნაყოფიერ და იაფ ადგილ მამულთა შესახებ. მემამულეთა დავალებით ტიხრავს მამულებს ნაწილ-ნაწილად გასაყიდათ. მისამართი: ქუთაისში, „ხვ. მ.“ და „სამშ.“ რედაქცია; ან პროვიზ კახიანის აფთიაქის მაღაზია, ქალ. თეატრის პირდაპირ. ჭიათურაში კი შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან.

დოქტორი მედიცინისა

დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე.
გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

იყიდება ახალი და მამული 2 სართულიანი ქვის შენობა ქვის სარდაფით. მიწაა 350 კვ. საჟ. ქუთაისში პუშკინის ქ., № 10. პირობების გასაგებათ მიმართეთ თბილისში მიხეილის ქ. № 113,
ექიმ გოკიელოვს.

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს

მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ. ტელეფონი № 183.

პარასკევს, 23 დეკემბერს
ქალაქის თეატრში
შესდგება

გალაკტიონ ტაბიძის

საღამო.

ბილეთები იყიდება.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 19 დეკემბრიდან საუცხოვო მხატვრული დრამა.

ცოდვა თანამედროვე დრამა 5 ნაწ. ცნობილ მსახიობთა მოზჟუხინისა და ლისენკოს მონაწილეობით.

განცხადება.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ მცხოვრებლებზე **შაქრის** გასაყიდათ მან შემოიღო ეგრეთ წოდებული

„ბარათების სისტემა“

ამისათვის ის იწვევს **ოჯახის უფროსებს,** რომელთაც სურთ ბარათების მიღება, გამოცხადდენ ქალაქის გამგეობის სადგომში და განუცხადონ თავისი ოჯახის მდგომარეობა (რამდენი სულია ოჯახში) ბარათების შემდგენელთ. უკანასკნელნი, ბარათებში საჭირო ცნობების აღნიშვნის შემდეგ, გადასცემენ მათ ოჯახის უფროსებს, რომელთაც უნდა გადიხადონ ორ-ორი შაური.

ქუთაისში არსებულ **დაწესებულებათა უფროსებმა** ქალაქის გამგეობიდან უნდა წაიღონ ბარათები, შეავსონ საჭირო ცნობებით და დაურიგონ მოსამსახურეებს; ქალაქის გამგეობას კი უნდა დაუბრუნონ ბარათების ნაკიდური („კორეშოკი“) და თითო ბარათის ფასი ორ-ორი შაური.

ბარათების შედგენა მოხდება: **კვირას,** 18 დეკემბერს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე; ხოლო **სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს**—საღამოს 4 საათიდან 8-მდე. იმ შემთხვევაში, თუ ამ ოთხ დღეში ვერ მოესწრო ბარათების შედგენა მუშაობა შემდეგ დღეებშიაც გაგრძელდება.

ამასთან ქალაქის გამგეობა აფრთხილებს მცხოვრებლებს, რომ ის პირნი, რომელნიც ყალბ ცნობებს მიაწვდიან ბარათების შემდგენელთ თავისი ოჯახური მდგომარეობის შესახებ, ან ერთ ბარათზე მეტს მიიღებენ, სრულიად დაკარგავენ ბარათებს და თან სასტიკად დაისჯებიან სისხლის სამართლის წესით.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ვაცხადებთ ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ, ვინაიდგან ბევრ მათგანს ამ წლის გაზეთის ფასი სრულათ არ აქვთ შემოტანილი, თითოეულს მათგანს ეგზავნება კერძო ბარათი ზედ აღნიშვნით, თუ ვის რამდენი მართებს ამის შემდეგ, ვინც მიმდინარე წლის გაზეთის ანგარიშს არ გაასწორებს, შემდეგისთვის აღარ დაიკვეთს და ფულს არ წარმოადგენს, იმათ გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზ. „სამშობლოს“ კანტორა.

მსოფლიო ომი.

17 დეკემბერს

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. დასავლეთის ასპარეზი. სიდონუვკის მიდამოებში მოპირდაპირემ სცადა ჩვენს თხრილებთან მოახლოება, ბროდის სამხერთით, მაგრამ სროლით მოვიგერიეთ. გუკალოვცესთან ტყის მიდამოებში და ს. გრაბნოვცესთან მოპირდაპირე განაგრძობდა ზარბაზნების დაშენას. მოლდავიის საზღვარზე, მდ. ოიტუზის ველში, მტერი შემოტევას განაგრობდა. სუმეზოს აღმოსავლეთ მიდამოებში რამდენიმე ადგილას ბრძოლაა მაღლობების ხელში ჩასაგდებად.

კავკასიის ასპარეზზე

არსებითი არაფერი მომხდარა.

რუმინიის ასპარეზი.

მდ. კასინის სამხრეთ და დასავლეთ ბრძოლის ხაზზე, რუმინეთის მიჯნებთან და აგრეთვე დასავლეთითაც მოპირდაპირემ იერიშებით დაახევინა რუმინელებს აღმოსავლეთისაკენ ერთ ვერსზე. რიმნიკ-სერატის ჩრდილოეთით 15 ვერსზე, კიოდენის და კოსტომირუს მიდამოებში 30 ერსსე ბრძოლაა. რუმინელებმა აქ მტრის იერიშები მოიგერიეს. მდ. ჩრიმნიკის მარცხენა ნაპირად მყოფი ჩვენი და რუმინელთა ჯარი სახელოვნად ჟიგერიებდა მოპირდაპირის იერიშებს და სამაგიერო იერიშებითაც მიდიოდა. რიმლიკ სერატიდან რკინის გზიდან ბოლდაუმდე, რიმნიკ-სერატის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მოპირდაპირე მედგარის იერიშით უკუვაგდეთ. მთელი დღის განმავლობაში მოპირდაპირე ორი დივიზიით გვიტევდა ს. რას მიმართულებით, ბულდაუს სამხრეთით 10 ვერსზე. საღამო ჟამს ბრძოლა დაცხრა. სოფ. ფილიპეშტთან მტრის იერიში მოვიგერიეთ. დანარჩენ ბრძოლის ხაზზე ზარბაზნების სროლაა.

დობრუჯაში მთელ ბრძოლის ხაზზე მოპირდაპირე იერიშებით მოდიოდა ჩვენს სადარაჯოებზე.

ლონდონი. ინგლისის მთავარბანაკის ცნობა. გუშინ და დღეს გერმანელები დროდა-დრო მედგრად უშენდნენ ზარბაზნებს სომას ჩრდილოეთით, ლეზარის მახლობლად და არასის სამხრეთით დაბანაკებულ ინგლისის ჯარს, გიულიუხის მიდამოებში და მასილის დასავლეთით. ჩვენ მარჯვეთ უშენდით ზარბაზნებს ზარბაზნების დასადგმელ გერმანელების სიმაგრეებს.

გერმანელების 1 საფრენი გავანადგურეთ, 5 იძულებული ვყავით ჩამოშვებულიყო. ჩვენ 3 საფრენი დაგვაკლდა.

პარიზი. დღის ოფიც. ცნობა ვევრენის მიდამოებში ფრანგების მიერ აფეთქებულ ნაღმის ამონათხარი 120 სიგძისა და 40 სიგანისა დავიჭირეთ.

პოდპორუჩ. გიუნებერმა ნიზერის აღმოსავლეთით მტრის საფრენი ჩამოაგდო. მეორე დღეს მეზონეტის სამხრეთით მეორე საფრენი ჩამოაგდო. ერთი საფრენი ომეკურში ჩამოვარდა. ფრანგმა მფრინავებმა ყუმბარები დააყარეს დილინგენს, ტიენვილს, ბრიეს მიდამოებს, რომბახს, ნაგენდანგს და ნეინკირხენის ქარხნებს.

ოდესა. გუშინ აუარებელი ლტოლვილი რუმინელი მოვიდა ტულჩიდან, ისაკჩიდან და ჩრდილოეთ დობრუჯის სხვა ადგილებიდან, მათ შორის ტულჩაში მყოფი რუსეთის კონსული ვესტმანი. ლტოლვილთა სიტყვით, ჩრდილოეთ დობრუჯის დალლას მშვიდობიანად ჩაუვლია. დობრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის დღიური.

აღმოსავლეთის ასპარეზი. გალიციაში ალაგ ალაგ მცირე ბრძოლები სწარმოებდა. ოიტუზას ველში ავსტრიელები შემოტევას განაგრძობენ.

კავკასიის ასპარეზი. მდგომარეობა უცვლელია.

დასავლეთის ასპარეზი. მრავალ ადგილას ზარბაზნებ-ს სროლაა. ჰაერში ცხოველი ბრძოლა სწარმოებს.

რუმინიის ასპარეზი. სამხრეთ მოლდავიაში გერმანელ=ბულგარლები მძლავრ შემოტევას განაგრძობდნენ. დობრუჯაში ბულგარელები იერიშებს აწარმოვებდნენ.

ჯის მიტოვება ბუზეოს დამხობასთანვე გადაუწყვეტიათ. ლტოლვილთა უმეტესობა დუნაიზე გადმოსულა. ტულჩისა და ისაკჩის მიტოვების დღეს, მტრის ზარბაზნის ყუმბარები, თურმე, ქალაქში დაწესებულებათა და კერძო სახლებს ჰხვდებოდა. ქალაქს საფრენები დასტრიალებდა და ყუმბარებს უშენდა ტულჩაში მდგომ გემებს. გემები გამოარიდეს. სურსათის ნაწილი წამოიღეს, დანარჩენი ცეცხლს მისცეს.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

რუმინეთი. რუმინეთის ცენტრს ამ ჟამად მოლდავიის ქალაქი იასსი წარმოადგენს. აქ იმყოფება ამ ჟამად მთავრობა, აქვე უნდა ყოფილიყო მოწვეული პარლამენტი, მაგრამ დეპუტატთა უმეტესი ნაწილი ვლახიაში დარჩომილა და ერთი ნაწილი რუსეთში გადასახლებულა; ასე რომ ჯერ კიდევ დიდი ხანი გაივლის ვიდრე პარლამენტის ქვორომი შესდგება.

მთავრობას აზრადა აქვს ახლო მომავალში ითათბიროს პარტიათა წარმომადგენლებთან და გადასწყვიტონ, რა გზას დაადგენ მომავალში. იასსი ერთობ შეწუხებულია ლტოლვილთაგან, რომელნიც ზღვასავით მოაწყდნენ ქალაქს. ცხოვრება ამიტომ ერთი ათად გაძვირდა. წინად ქალაქში 50 ათასი სული იყო ეხლა ეს რიცხვი 250 ათასამდე ადის.

— გერმანელები უკვე შესდგომიან ვალახიის ნავთის ჰების ამოწმენდას და ახლაბის ამოთხრას.

— **სამხედრო მოქმედება** გერმანელთა წყალქვეშებმა დალუპეს სამ მილიონ კრონად ღირებული ორი გემი ნორვეგიისა: „ფალკი“ და „არონა.“

— გერმანელები ძლიერ მარქაფა ჯარს გზავნიან მონასტირისაკენ კერძოდ და საერთოდ სალონიკის ასპარეზზე. აქეთვე გაუგზავნიათ დიდი ძალი სამთო ზარბაზნები.

ინგლისის „ლლოიდი“ აცხადებს ბრიტანიის გემი „მურეკ“ დაღუპულად უნდა ჩაითვალოს.

— კავკასიის ასპარეზზე ვან-ოგნოტის მიდამოებში იზზეტ-ფაშას მეთაურობით ოსმალებს 14 დივიზია შეუყრიათ. ამ ჯარს აუარებელი ტეხნიკური საშვალებანი, ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები ჰქონია.

— რუმინელ ლტოლვილთა სიტყვით გერმანელები ვერ შეესევიან ბესარაბიას, რადგანაც ამ ალაგას მდ. დუნაის გადალახვა ერთობ ძნელია; მდინარე რამოდენიმე ტოტებად იყოფა და კუნძულებიანია. გერმანელებს ვითომ არ ჰქონდეთ შესაფერისი საშუალებანი, რომ გადმოვიდნენ დუნაის მარცხენა ნაპირზე.

— ტულჩას დაპყრობის შემდეგ გერმანელებმა დუნაის მარცხენა ნაპირს ზარბაზნები დაუშინეს. სამხედრო ავტორიტეტების სიტყვით თუმცა გერმანელები რუსეთის მიწაწყალს აწევენ ზარბაზნის ყუმბარებს, მაგრამ ბესარაბიაში მათი შემოტევაზე ფიქრი უადგილოაო.

ქართველი გრიგორიანები

(იხ. „სამშობლო“ 510)

დიახ, ამით ჩვენ ქართველებად ვსთვლით არა მარტო ისტორია-არქეოლოგიის მიხედვით, არამედ სწორედ იმ რეალურ პირობების მიხედვითაც, რომელნიც ჩვენებურ სოციალდემოკრატებისთვის ერთადერთი საზომია ეროვნულ სახის განსაზღვრისათვის და რომელსაც ჩვენც ანგარიშს ვუწევთ. აბა, ვნახოთ, რას გვეუბნება სინამდვილე, ამ რეალური პირობების მიხედვით.

ვინ არიან ისინი, რომელნიც იმერეთსა და ქართლ-კახეთის სოფლებში სომხის სახელწოდებით სახლობენ? ქართველები თუ სომხები? მათი მოდგმითი ქართველობას არც რეალურ პირობების თეორიის მიმდევარნი უარჰყოფენ, მხოლოდ იმავე მათი წარმოდგენით, სომხის ეროვნული კულტურა ენა, ზნე-ჩვეულებანი სრულიათ შეუთვისებიათ, თვისი კი დაუკარგავთ და ამიტომ ისინი სომხებად უნდა ჩაითვალონო... მერე; მართლაც, ასეთია ნამდვილი ვითარება? აქ აშკარა დამახინჯებაა ფაქტისა, აშკარა სიყალბეა სინამდვილის გადმოცემაში. ფაქტი, პირიქით, სრულიად წინაამდეგს ადასტურებს, ჩვენში ქართველების გასომხება არავინ იცის, ხოლო სომეხთა გაქართველება კი ფაქტია. ის მკვიდრნი, რომელთა შესახებ ბაასია, ენით, კულტურით, ზნე ჩვეულებით, ინტერესებით, ტრადიციებით, ჩაცმა დახურვით, ტიპით, როგორც ზემოდაც ვსთქვით, **არაფრით მოგაგონებთ სომხებს და ოდნავაც არ განსხვავდებიან ქართველთაგან.** თუ რას ამბობს რეალობა, აი რას ამბობს ფაქტიური მდგომარეობა! რეალური პირობების თეორიის თანახმად, ისინი, მაშასადამე ქართველებში უნდა ჩავრიცხოთ დამოუკიდებლად იმისა, ქართველის თუ სომხის მოდგმანი არიან.

გვეუბნებიან, ადამიანი იმ ერის ენას და კულტურას ღებულობს, რომელიც მისთვის და მისი ეკონომიური და ფიზიკური არსებობისათვის ხელსაყრელიაო. კეთილი, **საქართველოში, ქართველთა შორის** რომელი ენა უნდა ჩაითვალოს უფრო ხელსაყრელად — ქართული თუ სომხური? აქ ორნაირი პასუხი შეუძლებელია. ცხადია, სომხებს ქართული ენა-კულტურა უნდა შეეთვისებიათ და აკი ასეც არის სინამდვილეში. და ამიტომ კვლავ ვიტყვით, რომ საქართველოს საზღვრებში ის მოსახლე „სომეხნი“, როგორათაც ჩვენს ს.-დემოკრატებს წარმოუდგენიათ ისინი, რომელნიც უკვე დიდი ხანია ქართულს ენა კულტურას ეზიარნენ, იმიტომ, რომ ეს მათთვის ხელსაყრელი იყო, ქართველები არიან და მათ სომხობაზე ლაპარაკიც მეტია. ამ დასკვნამდის მივყევართ თვით იმ პირთა მსჯელობას, რომელნიც რეალურ პირობების თეორიას იცავენ.

მკვიდრთა იმ ნაწილის ქართველობა, რომლის შესახებ ახლა დავაა, უმრავლესობა—უმცირესობის პრინციპითაც მრავლდება. ჯერ ერთი ვინ სთქვა, რომელმა მეცნიერმა, რომ უმცირესობას ყოველთვის, ყოველნაირ პირობებში უმრავლესობა სჯობნიდეს—უმცირესობას ამარცხებდეს ეროვნულად. მაგრამ დავუჯეროთ ჩვენებურ სოც. დემოკრატებს და მათი ნათქვამი ხალას ჭეშმარიტებად მივიღოთ. საქართველოს საზღვრებში უმრავლესობა ხომ ქართველობაა, უმცირესობა კი სომხები? აკი თვით სოც.-დემოკრატები ამბობენ, რომ უმრავლესობის პრინციპი იმარჯვებს, რომ უმრავლესობაში ჩავარდნილი უმცირესობა ძალა უნებურად ივიწყებს თავის ისტორიულ ენა კულტურას და უმრავლესობისას ითვისებსო?!.. აკი ჩეხთა შორის მყოფმა ავსტრიის გერმანელებმა, როგორც უმცირესობამ, გერმანელობაზე ხელი აიღეს და ჩეხების კულტურა ჩეხების ენა შეითვისეს! აკი იგივე დაემართა რუსებს ჩვენი ქვეყნის ზოგს კუთხეში, თვით ქართველებს ოსმალეთში?! აკი იგივე მეორდება ყველგან?: ეს ხომ, მათივე სიტყვით, ულმობელი კანონია?! ჩვენს კონკრეტულ პირობებში ვის უნდა განეცადა, მაშასადამე, ნაციონალური ასიმილაცია, ვის უნდა დაევიწყნა ძალაუნებურად თავისი ენა კულტურა? ცხადია, სომხებს, როგორც უმცირესობას ისტორიამ არ იცის უმრავლესობის ასიმილაცია უმცირესობის მიერ, ხოლო უმცირესობისა ხშირად, თუმცა არა ყოველთვის. ჩვენი მოკამათენი კი უმრავლესობის უძლეველობის პრინციპს აღიარებენ ხოლო ამავე დროს საქართველოს რეალობის შესახებ ასეთ უცნაურს დასკვნებს აკეთებენ: „მთელი რიგი ქართველებისა, ეკონომიური და სოციალური ურთიერთობის მეოხებით, გასომხდნენ“ ე. ი. სწორედ დიამეტრალურად წინაამდეგს კანონს ადასტურებენ, ვინაიდან საქართველოში ქართველობაა და არა სომხობა უმრავლესობა.

ოტო ბაუერმა, რომელმაც ზედმიწევნით შეისწავლა იმ ქვეყნების ერთა ურთიერთობა, სადაც შერეული მოსახლეობაა, და თავის დასკვნებს ნაციონალური ასიმილაციის შესახებ ამაყრებს ასეთი შესწავლისაგან გამოტანილ ფაქტებზე, დაწვრილებით არკვევს, თუ რა პირობებში ასიმილაცია უმცირესობისა აუცილებელია და რა პირობებში ამ უმცირესობას შეუძლია თავისი ეროვნება შეინახოს. აი ამ ოტო ბაუერის გამოკვლევით, ასიმილაციაზე მრავალნაირ ფაქტებს ექვს გავლენა. ნაციონალური უმცირესობის ასიმილაციაზე გავლენა აქვს არა მარტო ამ უმცირესობის რაოდენობას, არამედ იმ გარემოებ საც, თუ რა სახით არის დასახლებულ უმცირესობა უმრ [illegible] აზე, აგრეთვე რასას, კულტურას, სარწმუნოებას, ენა [illegible] ლობას, გეოლოგიურ პირობებს და სხვა და სხვა. *)

მართალია, სხვა და სხვაობა სარწმუნოებისა, სოციალური შემადგენლობის ქალაქებში, ეროვნული ბრძოლა სომ ბის ასიმილაციას აბრკოლებს, მაგრამ ქართველთა და სომეხთა შორის უფრო მეტ რამ ისეთი პირობებია, რომელნიც ამ ასიმილაციას ხელს უწყობს და ერთი ამ პირობათაგანი გახლავთ სახე უმცირესობ დასახლებისა ჩვენში, იმ მცხოვრებთ რომელნიც გრიგორიანთა სარწმუნოებ აღიარებენ. ასიმილაციის ერთი ძირითად კანონთაგანი, რომელიც სწორედ ამ დასახლების სახეს ეხება, ბაუერის სიტყვებ რომ ვსთქვათ, შეიცავს შემდეგ ფორმულას: **„ასიმილაცია მით უფრო ადვილია, რაც უფრო მეტად დაბნეულია უმცირესობა და რაც უფრო მეტად შეჭრილია უმრავლესობის საცხოვრებელში. ასიმილაცია მით უფრო ძნელია, რაც უფრო მჭიდრო უმცირესობა და რაც უფრო მჭი როა უმცირესობა და რაც უფრო მეტად დაშორებულია უმრავლესობის ადგილიდან, ასიმილაცია სრულიად შეუძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც უმცირესობა მთლა განცალკევებულს ეთნოგრაფიულ კუნძულებს წარმოადგენს“.**

ქალაქებში მცხოვრები სომხები სახეშ არა გვყავს, რომელთა შესახებ ჩვენ არ არავის ვედავებით. თუ იმიტომ, რომ დიდი ნაწილი (და არა ყველანი) აქ სომხის გვარისანი არიან. და თუ იმიტომ, რომ თუმცა წინად ისინი ქართულ ასიმილატორულ ზედგავლენას განიცდიდენ, დღეს, ძლიერი ეროვნული აგიტაცია—პროპაგანდის წყალობით რეა მილაციის გზას ადგანან და, მაშასადამე მათ ასიმილაციაზე ლაპარაკი მეტია. დიახ, თუ ამ სომხობას სახეში არ მივღებთ, გადაჭრით შეგვიძლია ვსთქვათ რომ ქართლ-კახეთსა და იმერეთში დასახლებული გრიგორიანები არსად **ეთნოგრაფიულ კუნძულებს არ წარმოა**

გრ. გვ—ნი.

---

*) ასიმილაციის საკითხს უფრო დაწვრილები ჩვენ სხვა დროს კვლავ დავუბრუნდებით.

№ 21 †

(„ნომერი ოცდაერთი, ჯვრით“).

დრამა ხუთ მოქმედებად

მოქმედება მეხუთე

და უკანასკნელი, იხ. „სამშობლო“ № 511

სცენა: მდიდრულად მორთული სასტუმროს ოთახი,— დერეფნით. უკან კამარა შეკრული კარია, ძვირფას და მძიმე ფარდაგებით ჩამოფარებული. ერთი ტოტი ფარდისა გადაწეულია და მოჩანს მეორე ოთახი, სადაც სდგას სუფთა საწოლი, მშვენიერის ლოგინით. ლოგინში წევს ლეონ ბერგი. თავით უდგია სტოლი ათასგვარი წამლის შუშებით სავსე. ბერგს თავს ადგია ექიმი,

წინა ოთახში, მდიდრულ სავარძელში ზის მწარედ დაღონებული განო. გვერდით უზის და-ე მოწყალებისა სადამოა, ჭადები ანთია, ჰაუზა.

I

დაჲ მოწყ. (ალერსიანად, გაუბედავად) გეყოფათ, ქალო მაგდენი ფიქრი. ღმერთი მოწყალეა, ექიმმა სთქვა: არა უჭირს-რაო.

განო ექიმებმა ნუგეშის მეტი არა იციან-რა. მე კი გული მიგრძნობს,- -უბედურება რამ მომელის.

დ. მ. უძილო ღამეებმა ძარღვები დაგიშალათ და აღარ იცით, რა სთქვათ. გეუბნებით: საშიში არაფერია, საცაა ჭრილობა შეეკვრება და მალე სიცხესაც დაუკლებს, ოხ, ის საზიზღარი, ვიღაც იყო, რა გულმა მისცა, რომ ასეთი ვაჟკაცი სასიკვდილოდ გაიმეტა.

განო (ამოიოხრებს) ბოროტი ადამიანი რომ დაიბადება, მას ავისა და კარგის გარჩევა აღარ შეუძლია. (დაფიქრდება)

დ. მ. რატომ მარჯვენა არ მოსტყდა?!

განო რა სთქვით?

დაჲ მოწ. რატომ მარჯვენა არ მოსტყდა, მეთქი ვაჟკაცის ასე გამეტებისათვის!

განო (გამოერკვევა) თუ ღმერთმა მაღირსა ლეონის ფეხზე დადგომა, მე თვითონ გადავუხდი სამაგიეროს.

დაჲ მოწ. განა იცნობ, ვინც იყო?

განო მე ვიპოვნი... მოვნახავ, იმ საზიზღარს (სიტყვას გადააბრუნებს) დაია, ჯერ არავინ გყვარებია?

დაჲ მოწ. (ამოიოხრებს და მორცხვად [illegible]

განო. ნეტავი შენ, თუ არავინ გყვარებია და არც არავინ შეგიყვარდება!... ღმერთო ჩემო, რა თავისუფალი, რა უდარდელი ვიყავ ლეონთან შეხვედრამდე. მე არც კი ვგრძნობდი, რომ სხეული მესხა. სული ჩემი დასტრიალებდა ბეჩავ ხალხს, გონება ჩემი სწყვეტდა ათასგვარ საკითხს... დღე და ღამ თვალწინ მედგა დიადი საქმე და ახლა კი?...

(ექიმი გამოდის იქით ოთახიდან, მოისმის ყრუ კვნესა. განო ლაპარაკს შესწყვეტს, წამოხტება და ექიმს).

II

განო რას მეტყვით სანუგეშოს, ბატონო ექიმო?

ექიმი (მოხდენილი ახალგაზდაა. ალერსიანად მიუახლოვდება განოს, ხანგრძლივ ჩააცქერდება თვალებში და ღიმილით) არხეინად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო! გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ არა უჭირს-რა. (განოს ხელს ნაზად ასწევს, ტუჩებთან მიიტანს და ხანგრძლივ დაეკონება).

განო (ხელს გამოსტაცებს.) გმადლობთ, გმადლობთ, ბატონო ექიმო, ნუგეშისცემისთვის... (გატრიალდება და ავათმყოფთან უნდა შევიდეს.)

ექიმი. ტსსს! არ გაალვიძოთ!... მოითმინეთ, რა უნდა მოგახსენოთ... (განო დაბრუნდება).

ექიმი (კვლავ თვალებით უცინის) აი, ახლა (საათს დახედავს) ცხრის ნახევარია, ათს საათზე სიცხე გაუშინჯეთ... თქვენ კი არა, აი ამან (მიუთითებს მოწყალების დაზე, რომელიც განზე ჩამომდგარა), მერე დაალევინებთ წამალს. პირველი კი მოსვენებაა. ძილი, ძილი და ძილი! აი რა გამოუშუშავს ავადმყოფს! დამიჯერეთ, რომ თუ ძილი არ დააკლდება, თქვენ ნახავთ, —რა მალე წამოხტეს ლოგინიდგან. (განოს საიდუმლოდ,) ან კი რა მოჰკლავს თქვენს მაყურებელს?

განო (თავს დახრის, მერე უცბად შემოტრიალდება და ავადმყოფთან ფეხაკრეფით შედის).

III

ექიმი (თვალს გააყოლებს განოს, ხელს ჩაიქნევს და კარებისაკენ გასწევს. დაჲ. მოწყალებისა წინ მიდის კარების გასაღებად. ექიმი უეჭრებლად ჩაიცვამს პალტოს, ხელთათ- [illegible] და თვალს თვალში გაუყრის.) დიდი ხანია, რაც ავადმყოფებს უვლით?

დაჲ მოწ. ერთი წელიწადია!

ექიმი ხომ შეეჩვიეთ თქვენს სამსახურს? ხომ არ გიძძიმთ? ხომ არ მოგწყინდათ?

დაჲ მოწ. გაჭირვებულთა სამსახური იყო ჩემი ტრფიალი და ახლა ბედნიერათა ვგრძნობ ჩემს თავს!

ექიმი ჩინებულია... ჩინებული! (უტიფრად შეჰყურებს მოწყალების დას. დაჲ მოწყალებისა თავსა ჰხრის, ექიმი მიუახლოვდება, ნიკაპში ხელს წაავლებს და მაღლა ახედებს) რას მორცხვობთ? მე და თქვენ თითქმის კოლეგები ვართ, მშვენიერო ჩემო! (აპირობს მოხვევნას. დაჲ მოწყალებისა უკან გადმოხტება. ექიმი მაინც ღიმილით უყურებს) მაშ... ნახვამდის!

დაჲ მოწ. (ნაწყენის კილოთი და წარბ შეკვრით) ნახვამდის! (ექიმი დინჯად გადის) გაჯავრებული სავარძელში ჩაჯდება, დაფიქრდება): პირუტყვი!

IV

განო (ფეხ აკრეფით გამოდის ავადმყოფის ოთახიდან) სძინავს... ოხ! ღმერთო, ღმერთო! თუ სადმე ხარ, მომხედე, მომირჩინე ჩემი ლეონი და სამუდამოდ შენი მოსავი ვიქნები.

დაჲ მოწ. როგორ თუ სადმე ხარო! განა ეჭვიცა გაქვს, რომ ღმერთი არსებობს?

განო ერთს ხანს მე სრულიადაც არა მრწამდა იგი! იმდენი უსამართლობა, იმდენი ვერაგობაა ქვეყნად, რომ ღმერთი ამას ვერ მოითმენდა მეთქი, ხშირად მითქვამს.

დაჲ მოწყ. შემცდარი ყოფილხარ...

განო ახლა მეც ასე მგონია! გაჭირვებამ თვალები ამიხილა და ლეონის მორჩენა ხომ სულ მთლად დამარწმუნებს ღმერთის არსებობაში

დაჲ მოწყ დიდი ხანია, რაც შენ და ლეონი ერთადა სცხოვრობთ?

განო. ჯერ სულაც არ გვიცხოვრია! მხოლოდ ერთი კვირაა, რაც სიტყვა მივეცით ერთმანეთს და გუშინ კი ეს უბედურება დაგვემართა! (ამოიოხრებს, თვალებზე ცხვირსახოცს მიიფარებს და სავარძელში დაეშვება).

დაჲ მოწყ. (გაუბედავათ) ძალიან გიყვართ?

განო. (გატაცებით) მიყვარს ისე, რო- [illegible] დედა-მიწას მზის ხივი! საჭირო რომ შეიქმნეს, ჩემს გულს გაულესავ და წამლად დავალევინებ...

დაჲ მოწყ ვინ არის, ან საიდან შეგიყვარდა?

განო. ამხანაგია... სტუდენტი! ერთად ვმუშაობდით ხალხის საკეთილდღეოდ. უნდა იცოდეთ რა კეთილი, რა გულადი, რა მოყვარულია ხალხისა—მუშა, მშრომელი ხალხისა! მთელი თავისი ახალგაზდობა შესწირა ამ ხალხის სამსახურს და მადლობის მაგიერ, აი რა მიუძღვნეს? მერე ვინ? ისევ თავისიანებმა... ისევ თავის ამხანაგებმა! ღმერთო! შენ ჰკითხე ირაკლის, ჩვენი ასე დატანჯვისათვის!

დაჲ მოწყ. (შეკრთება) ირაკლის? ვინ ირაკლია?

განო. არის ერთი მომუშავე... ირაკლი კოვზირიძე... საძაგელი! საზიზღარი!..

დაჲ მოწყ. კოვზირიძე? (უფრო აირევა) ირაკლი კოვზირიძე?

განო. რას გაფითრდი? იცნობ თუ?

დაჲ მოწყ. (დაბნევით) გუშინ წინ გამაცნეს ერთ ოჯახში.

განო. (წამოხტება) ოხ! ოხ! ისევ აქ არის?

დაჲ მოწყ. დღეს დილითაც მომაცილა სასტუმროს კარებამდე.

განო (გულმოსული) გააგდე, არ მიიღო!.. მოერიდე!

დაჲ მოწყ. რათა? განა ის... ის არის მკვლელი? იმან დასჭრა ბერგი?

განო. (დაფიქრდება.. პაუზა) არა მესმის- რა? როცა მე თვითონ შევხვდები, მაშინ მოვთხოვ ანგარიშს!..

დაჲ მოწყ. (განცვიფრებულია..) ღმერთო! რა ძნელი გამოსაცნობია კაცი! ნუ თუ ირაკლია?გონება მერევა!.. მაშ, რათა სწუხდა შენთვის ისე გულწრფელად.. თითქმის ცრემლებით?

განო. (იხრავს, იტანჯება. უნდა ყველაფერის თქმა და ვერცა ჰბედავს) (ამ დროს მოისმის ხველა ბერგისა. განო ყურებს აცქვეტავს).

ლეონ ბერგი. (სუსტი ხმით) განო!.. განო!

განო. (შეკრთება). აქა ვარ, შენი კვნესამე, შენი! (მიდის ფეხ-აკრეფით, დაჲ მოწყალებისა უკან გაჰყვება)

ბერგი. განო, წამალი მომაწოდე... [illegible] ცივ ოფლს მასხამს... ღმერთო... ღმე თო! (ძნელად ახველებს).

განო. (წამალს კოვზით მიაწოდებს) ნუ გეშინია, ჩემო ყველავ! გული გაიმაგრე განა ღმერთს სამართალი არა აქვს? გან არ დაგიფასებს ხალხისადმი ამდენ ამაგ (წამალს დაალევინებს და მის თავთან სკ მზე ჩამოჯდება, შუბლზე ხელს დაადებს, ბერგი თვალებს მილულავს, მძიმეთა სუნთქავს.

განო. (დაჭყურებს ავათმყოფს და თავისთვის ბუტბუტებს) ჩემო ღვთაებავ... ჩემო გულო! ვაი, ვაი! (თვალებიდან ცრე მლებს იწმენდს, მოხედავს მოწყალები დას.) წადი ახლა, ჩემო დაია, და დაისვ ნე. მინდა მარტო დავრჩე ჩემს ავად მყოფთან

დაჲ მოწყ (თავს უკრავს) ღმერთმ ულხინოს .. ღმერთმა დაამშვიდოს შენ გული! (გამოდის აქეთა ოთახში, რომლი კარებთანაც პალტოს ჩაიცვამს და გად დერეფანში, სადაც დაინახავს ირაკლი დაჲ მოწყალებისა შეკრთება, დაიბნევა).

V

ირაკლი (მივარდება, ხელს დაუჭერ და ხავხავ-ჩურჩულით) როგორ არის, ა მომკვდარა? განო?.. განო რას შვრება?

დაჲ მოწყ. (სცდილობს ხელი გააშვე ბინოს). თქვენ... თქვენ აქ რა გინდათ განო ამბობს, რომ...

ირაკლი. სსს! იყუჩე... განომ არა იცი რა! განო მოტყუებულია... უბედურია.. მალე ყველაფერს გაიგებთ... შენ კი ჯერ ჩუმათ იყავ, ჩემო დაია, ჩუმათ.., წად შენს გზაზე... მე კი მასთან შევალ.

დაჲ მოწყ. (შემკრთალი) თქვენ? განა უნდა ნახოთ?

ირაკლი. რათაც უნდა დამიჯდეს, ყვე ლაფერი უნდა ვუთხრა, ყველაფერი უნ და ვუამბო... ამ ყოფაში მისი დატოვე შეუძლებელია..

დაჲ მოწყ. (გამობრუნებას აპირებ მაშ, დავუძახებ...

ირაკლი. საჭირო არ არის! მე თითონ მე თვითონ დავუძახებ, მე თვითონ ვნახა პირის-პირ უნდა ველაპარაკო, შენ წა

დაჲ მოწ. (არ იცის რა ჰქნას. ირაკლ ხელს მოჰკიდებს და უსიტყვოდ გასავ კარებისკენ უჩვენებს. დაჲ მოწყალებ თავისდა უნებურად ემორჩილება ირა უცბად შემოტრიალდება, ოთახის

დგმინე. პირიქით, ისინი ქართველებში არეულნი არიან, მათ ბინა-საცხოვრებელში შეჭრილნი, ირგვლივ ქართველებით გარსშემორტყმულნი და ამასთანავე თავის კლასობრივი მდგომარეობით (უმეტესობა გლეხობაა), ენით, პროფესიონალური ხასიათშრომის სახით, კულტურის დონით უმრავლესობისაგან—ქართველთაგან არ განსხვავდებიან, რაიც აგრეთვე, იმავე ბაუერის აზრით. ხელის შემწყობი პირობაა ასიმილაციისა.

გრ. გველესიანი.

(დასასრული იქნება)

ახალი ამბავი.

პარასკევს 23 დეკემბერს ქალაქის თეატრში გაიმართება ჩვენი მგოსნის გალაკტიონ ტაბიძის საღამო.

◆ კვირას 18 დეკემბერს შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში შესდგა ქუთაისის გუბერნიის კოოპერატივთა წარმომადგენლების კრება. კრება გაიხსნა დილის 11 საათზე, დაესწრო 80-დე დელეგატი. ამ კრებაზე სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხთა შორის განსახილველი იყო, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის განყოფილების დაარსების საკითხი. კრებამ დიდი ყურადღება მიაპყრო ამ საკითხს და ერთხმათ გადასწყვიტა განყოფილების დაარსება და აირჩია ამ საქმის მეთვალყურე კომისია, კომისიის წევრებად არიან: ნაფ. ვექილის თანაშემწე გრ. გიორგაძე. გიორგი ტუსკია, ვ. კანდელაკი (სამეგრელოს წარმომადგენელი) კ. გიორგაძე, (გურიის წარმომადგენელი) და ვ ჭავჭანიძე (ხონის წარმ.) მათ კანდიდატებათ არიან: რ. ყიფიანი (ლეჩხუმის წარ.) და ალ. ხარატიშვილი (შორაპნის წარ.) საწყობის გამგეთ ერთხმათ არჩეულ იქნა პლ. თალაკვაძე.

◆ კვირას, 18 დეკემბერს ქალაქის თვითმართველობამ დაიწყო მსურველთათვის, შაქრის მისაღები ბარათების დარიგება, ბარათებს დაურიგებენ მსურველთ აგრეთვე დღეს, ნაშუადღევის 4 საათიდან.

◆ ჩრთილოეთ კავკასიაში გარდაიცვალა კოზმა იოსების ძე გიორგობიანი, რომელმაც ქუთაისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიას 100,000 მანეთი შესწირა

◆ როგორც სჩანს ვინმე ბ-ნი ბუაჩიძე საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სახელით თურმე ჰყიდის სიმინდს. ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ; რომ ამ საზოგადოებას მასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს.

◆ ქალაქის გამგეობის ცნობით ამიერიდან ქუთაისს პური არ შემოაკლდება, როგორც დანამდვილებით გავიგეთ ამ ჟამათ ქალაქს შემდეგ ადგილებში ჰქონია პურის ფქვილი შეძენილი: ნოვოროსიაში 33 ვაგ., ქ. სტავროპოლიდან გამოუგზავნიათ რასაც ამ დღეებში მიიღებენ 28 ვაგონი, სადგურ ვარილკაში—15 ვაგ., დანილევსკის უყიდია სხვადასხვა ადგილებში სულ 75 ვაგ, ტუაფსეში ყოფილა 14 ვ., საინტენდანტოს დაუთმია 11 ვაგონი, სულ 176 ვაგ.

◆ გუშინ ქალაქის თვითმართველობამ მიიღო 20 ვაგონი შაქარი, განაწილებას დღეიდან შეუდგებიან, როგორც მოხსენებული გვქონდა შაქრის განაწილება მოხდება „ბარათების სისტემით“. შაქარი მიეცემა აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის შემდეგ მაზრებს: ოზურგეთის მაზ. 1 ვაგონი, ზუგდიდის—1 ვაგ., სენაკის—1 ვაგ., შორაპნის—2 ვაგ. და ქუთაისის—1 ვაგონი.

◆ სიმამაცისათვის დააჯილდოეს შემდეგი ქართველი ოფიცრები: წ. მ. სტანისლავის მეორე ხარისხის ჯვრით: კაპიტანი ელიზბარ შერვაშიძე, რომანოზ გველესიანი-და შტაბს-კაპიტანი ვიქტორ ანჩაბაძე.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ქ. შ. წ. კ. გ. განყოფილებას ნება დართო დაარსონ სოფელ ამაღლებაში, (ოზურგეთის მაზრა) უფასო წიგნთ საცავ სამკითხველო.

◆ ქუთაისის გუბერნატორის დადგენილებით ბოროტ-გამზრახველთა გადამალვისათვის სამ სამი თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯეს დ. სამტრედიის რაიონში მცხოვრებთ: სერაფიონ კრავეიშვილს, მამანტი კვანტალიანს, თეოფილე დგვეფაძეს, კონ. პაპავას, პეტრე გიგინეიშვილს, კოლია სიხარულიძეს, ბიჭიკო ერისთავს, ნესტორ დუნდუას, კ. როტინოვს, გიორგი ელიავას და ილარიონ გეჩილაძეს.

◆ თუ რომელ ვაჭარს რამდენი ფუთი სურსათ-სანოვაგე აქვს ამ ჟამათ ქუთაისში. სიმინდი: აბაევს 1000 ფუთი, ერ. ჭავჭანიძეს 200 ფ., პურის ფქვილი; ქალ. გამგეობას. 2000 ფუთი, კართოფილი, ს. ჯიბლაძეს 200 ფ ბექაიას 1000 ფ., ვ. კუპრაშვილს 2000 ფ., დ. ტყეშელაშვილს 1000 ფ., მარილი: დ. ნატბილაძეს 100 ფუთი, გ. სულამბერიძეს 100 ფ., ან. ვაჩაძეს 3000 ფ., დ. ქებაძეს 1000 ფ., ბასილაძეს და კილასონიას 400 ფ., ლ. რუხაძეს 200 ფ, ნავთი: გ. ასათიანს 100 ფ., ბარქაიას 1000 ფ., საზ. „განათება“ 5000 ფ., ნარსიას 100 ფ., საპონი: ბუზიაშვილს 250 ფ., ასანთი: გ. ასათიანს 1800 ათეული, ა. სადიკოვს 1000 ათ. ა. აკოფოვს 400 ათ,

◆ ქუთაისის სასამართლომ 100 მანეთით დააჯარიმა გ. არჯევანიძე ბუფარგისი სანოვაგის გაყიდვისათვის. იმავე სასამართლომ ერთი თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯა მეფურნე ალექსი ვაჩაძეს პურის ნიხრზე ზევით გაყიდვისათვის.

◆ ომში დაჭრილ დაავადმყოფებული ოფიცრები. ამ უკანასკნელ ხანებში ქ. თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი ქართველი ოფიცრები. პრაპ. ვასილი ოდიშელიძე, ნიკოლოზ კოპალეიშვილი და მიხეილ შურღაია.

◆ სოფელ ტაბანიერიდან გვატყობინებენ რომ იქ ახლო მომავალში გაიხსნება უმაღლესი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, რის ნებართვაც საზოგადოებას უკვე მიუღია. სასწავლებლის ინსპექტორად დანიშნავათ ბ. ელენტი.

გუბერნატ. კანცელარიის ცნობები.

სოფელ ლანჩხუთში, (ოზ. მაზრა) იაკინთე კვეტაიშვილმა ბერდანის თოფით მოჰკლა თავისი ცოლი. როგორც გადმოგვცემენ მკვლელობა რომანიულ ნიადაგზე მომხდარა. ცოლის მკვლელი მიმალულა.

— ახალ სენაკში ვიღაც ბოროტ-გამზრახველებმა ცეცხლი გაუჩინეს მაქსიმე მისაბიშვილის სახლს, რაიც ერთიანად დაიწვა. სახლი მისაბიშვილს დაზღვეული ჰქონია „როსიის“ საზოგადოებაში 6,000 მან. ზარალი 20,000 მანეთია.

— დ. ჟვერიაში სასადილო დაუხურეს, ბ. ელენტს, ჯარის-კაცთა ღვინის გაყიდვისათვის.

— სოფელ გორაში (ქუთ. მაზრა) რამოდენიმე შეიარაღებული ავაზაკი ფეხსაცმელების სახელოსნოში შეუცვივდნენ სერგია მჟავანაძეს და წაართვეს მას. 170 მანეთის საქონელი. როგორც გამოურკვევიათ მძარცველობა ჩადენილი ყოფილა სოფ. სალომინაოში მცხოვრებ ვლ. ნიჟარაძის მიერ, რომელიც დაპატიმრეს და გადასცეს სასამართლოს,

კავკასიის ქრონიკა.

თბილისი. ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის სასარგებლოდ წერა კითხვის საზოგადოების კანცელარიაში შემოსულა დღემდის 3184 მან. 65 კ.

წერა-კითხვის საზოგადოების სკოლების და სამკითხველოების მეთვალყურე ბ-ნი გრ. ბურჭულაძე, საზოგადოების დავალებით, ბათომს გაემგზავრა ომისაგან დაზარალებულთა შვილებისათვის თავშესაფარის მოსაწყობად, ბათუმის ქართულ სკოლასთან.

ქალაქის გამგეობა ამ დღეებში მოხსენებას წარუდგენს ქალაქის საბჭოს, რომ ქალაქმა სუბსიდი დაუნიშნოს ბ-ნი არჯევანიძის სატყეო სკოლას წელვერში.

გორი. 15 ამ თვეს მოხდა ქართლის წვრილ საკრედიტო დაწესებულებათა და შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობათა საერთო კრება, რომელზედაც გადაწყდა დაარსდეს ამ დაწესებულებათა კავშირი. ზოგიერთ დამწრეთა წინადადება, რომ საგუბერნიო კავშირი დაარსებულიყო, კრებამ არ შეიწყნარა.

გორის სამეურნეო საზოგადოების განკარგულებაში გუბერნატორმა გადასცა ერთი ვაგონი შაქრის ფხვნილი, რომელიც სხვა კოოპერატივების წარმომადგენლებს გაუნაწილეს.

თელავი. კახეთის საკრედიტო დაწესებულებათა კავშირის გამგეობამ, ინჟინერი ბ-ნი ლომიძის ხელმძღვანელობით, მოაწყო თელავში ლულა გოგირდის გამოსახდელი ქარხანა. კავშირს ახლავე აქვს გამოსახდელად თავისი საკუთარი 12,000 ფუთი და 2000 ფუთიც მოსკოვის სახალხო ბანკის ლულა გოგირდი, გამოხდას შეუდგება ნახანწლევს. გამოხდილი გოგირდი ისეთივე იქნება, როგორც არის მარსელის გოგირდი.

იქიდანვე გვატყობინებენ, რომ წერა-კითხვის სკოლის შენობაში მოხდა ქალთა კრება. დამსწრეთ ითათბირეს რით დაეწყოთ მოქმედება პურის ცხობით, თუ ფართლეულის მაღაზიის გახსნით და ეს უკანასკნელი აჯობინეს. დასასრულს ამოირჩიეს ხუთი ქალისაგან კომისია, რომელსაც მიანდეს სხვათა შორის 14 იანვრის ნინოობის დღესასწაულის მოწყობაც.

ზუგდიდი აქ კარგი ხანია პური და შაქარი არავის აქვს.

ახალსენაკი. მესამე ხარისხის პური იყიდება გირვანქა აბაზად. ბაზრის უფროსმა ბ. ლევაშოვმა ენერგიული ზომები მიიღო ყაჩაღების ასალაგმავად. ყაჩაღობა—ავაზაკობა დასცხრა. თუ ახლები არ გაჩნდენ, ძველი ცნობილი ყაჩაღები თითქმის ყველგან ზოგი [illegible] ზოგიც შეიპყრეს.

დ. სამტრედია. მომხმარებელი საზოგადოების ფურნე[illegible] ხალხი აწყდება, [illegible] არსად იშოვება [illegible] ქანს არ შეუძლია ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. აქაც გაჩნდა „კუდები“. შეშინებული ხალხი ღამიდან რიგში დგება.

დ. საშურს. თვეზე მეტია ხამურში შაქარი არ იშოვება პურს ხომ ისეთ სადაგელს აცხობენ, რომ მისი ჭამა შეუძლებელია.

ოზურგეთში. საფეიქრო „მაქვა“ დაარსდა. ის დაარსა ამხანაგობამ, რომელშიდაც შედიან 15 ვაჭარი. საწევრო ფული სანამ საქმე დონაზე არ დადგება წელიწადში ასი მანეთია. ამხანაგობას უდგას 5 საფეიქრო დგამი, რომელზედაც ათი ქალი მუშაობს.

დ. ჩოხატაური. დიმიტრი პეტრეს ძე ძნელაძემ ადგილობრივ სკოლებს და სხვა კულტურულ დაწესებულებებს შემოსწირა ორასი მანეთი.

† მ. ქ. ყიფიანი.

გუშინ 17 ოქტომბერს სოფ. ქვიშხეთში მიწას მიაბარეს სამაგალითო გულწრფელის და მხნე საზოგადო მოღვაწის მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანის ნეშტი.

განსვენებულს კარგად იცნობდა ქართველი საზოგადოება, როგორც ღრმა რწმენისა და მტკიცე გულის პატრონს.

იგი ყველასათვის საყვარელი შეიქნა ჯერ კიდევ მაშინ, როცა იგი 80-იან წლეებში გორის სასტატო სემინარიაში მასწავლებლობდა. მან იქ საყოველთაო სიმპატია დაიმსახურა, რომ მოულოდნელად თავის პოლიტიკურ რწმენისათვის გაგზავნეს იგი ციმბირში.

ამ შვიდიოდე წლის წინად განსვენებულ მიხეილ ქაიხოსროს ძეს ეღირსა სამშობლოში დაბრუნება და მაშინვე ჩაება საზოგადო საქმეებში. იგი მსახურობდა ქალაქის გამგეობაში და იმავე დროს მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ საზოგადო საქმეებში.

პატივცემული მიხეილი ქაიხოსროს ძე ხშირად ათავსებდა ქართულ ჟურნალ გაზეთებში წერილებს საზოგადო საკითხებზე. სხვათაშორის მის კალამს ეკუთვნის მეცნიერული გამოკვლევა ქართული ენის შესახებ.

კარებში შევარდება, კარებს ჩაჰკეტავს, მიიხედ-მოიხედავს. კუთხის ფანჯარასთან ჩამოფარებულ ფარდაგთან მიირბენს და ამოეფარება. მეორე ოთახიდან მოისმის მისუსტებული ხმა ბერგისა).

VI

ბერგი. განო! განო!

განო. (წამოდგება სკამიდან) აქა ვარ.!! რა გინდა, შენი ჭირიმე, შენ! (ისევ დაჯდება).

ბერგი. (სუსტად, მაგრამ გარკვევით) რომ იცოდე, რა ცუდი სიზმარი ვნახე! ვითომ მე და შენ ერთად ვიყავით დაბურულ ტყეში. ვისხედით წყაროსთან, დიდი წიფლის ქვეშ და ერთმანეთს ველაღერსებოდით. მე გარინდებული მივყრდნობოდი შენს მკერდს და შენი ტკბილი ხმა მუსიკასავით ჩამესმოდა: შენ კი მეამბობდი: ვინ იყო შენი დედა, შენი მამა, როგორ გაატარე შენი სიყმაწვილე, როგორ გაგიტაცა ახალმა მოძღვრებამ, როგორ უარ ჰყავ სიამენი ამა ქვეყნისა და ახალ გაზრდილის ძალ-ღონით როგორ ჩაები მუშაობაში... ამ დროს საიდგანღაც გაჩნდა ამხანაგი ირაკლი, დაგავლო ხელი... წამოგიკიდა ზურგზე და გაგიტაცა. მე გამოგიდექით. უცბად ის იქცა დათვად, მომიბრუნდა და ისეთი ძლიერებით შემომკრა ტორი, რომ გულწასული მიწაზე პირქვე დავეცი... სული მეხუთებოდა, მინდოდა დამეყვირა,—ხმა აღარ მქონდა! მინდოდა ავმდგარიყავ—წელი აღარ მომდევდა, ჭირის ოფლში ვიწურებოდი, ვიხრჩობოდი... მაგრამ ამ დროს გამომეღვიძა... მადლობა ღმერთს!! ეს მხოლოდ სიზმარი ყოფილა! ჩემო განო, ჩემო ლამაზო! ოხ რომ იცოდე, როგორ ვიტანჯები!! თუ გადავრჩი.. სულ ახალ ცხოვრებას დავიწყებ..- შენ.. შენ უნდა ღირსეული მეგობარი გყავდეს.. ოხ, ჩემო ცხოვრებავ! უკულმართო, უბედურო!.. განო, განო! ხომ მაპატიებ ყველაფერს, ხომ არ გამწირავ? ხომ მუდამ ჩემთან იქნები?

განო. (ცრემლ მორეულის ხმით). ნუ შფოთავ გეთაყვანე, ნურასა სწუხარ! ვიდრე ცოცხალი ხარ, მუდამ შენთან ვიქნები, ხოლო თუ ღმერთი გამიწყრა და აგიტყდა რამე, ყელს გამოვიჭრი შენი კუბოს წინაშე, რომ ორივენი ერთად დაგვმარხონ... არა, შენ არ მოკვდები. შენ უნდა იცოცხლო ხალხისა და ჩემდა საბედნიეროდ, ჩემო ლეონ, ჩემო ძვირფასო ლეონ! (ყრუ ქვითინით თავს დასდებს ლეონის ბალიშზე.

ირაკლი. (ფარდის უკან მწარედ ხელებს იმტვრევს).

ლეონ. (განოს) ნუ, ნუ სტირი ჩემო ყველავ!

განო. (უცბად თავს მაღლა აიღებს ბალიშიდან) არა, აღარ ვიტირებ! რკინის გულს ჩავიდებ მკერდში, ვიდრე შენ არ მორჩები. გრძნობას დავიხშობ... ჩემს სულსა და ხორცს ვუბრძანებ: გაქვავდენ, გასალკლდევდენ! დღე და ღამ ანთებულ კელაპტრათ გადავიქცევი, რომ სითბომ ჩემის სუნთქვისამ ძალა და ღონე მოგცეს ფეხზე დასადგომათ და როცა ველირსები ამ ბედნიერ დღეს... გადავიქცევი ბულბულად, მერცხლად... გადავიქცევი სტვენად და ჭიკჭიკად, რომ დავატკბო შენი სმენა, დღე და ღამ თვალს არ მოვხუჭავ, რომ გავძღე შენის მზერით, მთელის თვეობით ციმრუტივით ვიტრიალებ, მოგიწყობ ბინას და ოჯახს, რომ არა დაგაკლდეს რა, ხელი არამ შეგიშალოს ხალხისათვის მუშაობაში, ჩემო ლეონ, ჩემო ძვირფასო ლეონ! (ქოჩორზე ნაზად ხელს გადაუსვამს და ფრთხილად შუბლზე აკოცებს).

ბერგი. გმადლობ, ჩემო განო, ჩემო კეთილო განო! მეც ვეცდები... (ხველა აუვარდება.)

ირაკლი. (იტანჯება, თავის საფარში. პაუზა.)

განო. (დიდხანს დაცქერის ავადმყოფს) დაიძინა!.. ღმერთო, შენ გაუთენე მშვიდობის დილა! (ადგება აქეთ ოთახში გამოვა და სავარძელში ჩაჯდება).

VIII

(ირაკლი საფარიდან გამოვა, რევოლვერს მოიმარჯვებს და წინ წამოდგება, განო დაინახავს, შეშინებული თვალებს დააშტერებს, ოდნავ ამოიგმინებს და კანკალით ზეზე წამოდგება.)

ირაკლი. (ხმა დაბლა) ნუ გეშინია, განო, მე შენს სავნებლად არ მოვსულვარ... მე მინდა შენ იცოდე რომ...

განო. (მაინც გონს ვერ მოსულა. ხავხავით აწყვეტინებს) რაღა გინდა ჩემგან? რას დამსდევ უკან აჩრდილივით, განა არ გეყო, რაც დღე დამაყენე?

ირაკლი. განო, განო! მაპატიე ღვთის გულისათვის, რაც ტანჯვა მოგაყენე, ღმერთმა ხომ იცის, მიყვარდი და მიყვარხარ უანგაროდ, შენი გულისთვის მზად ვიყავ გავქვავებულიყავ, ოღონდ კი შენ ბედნიერად გეგრძნო შენი თავი, მე აღთქმა მივეცი ჩემს თავს მოგშორებოდი სამუდამოდ, გადავხვეწილიყავ ცხრა მთას იქით და ტანჯვაში მეთენებია დღე და ღამე. აღთქმა მივეცი ჩემს თავს,—ყველგან და ყოველთვის წინ მე გავსულიყავ ბრძოლის ველზე, რომ ან გამარჯვებული ხალხის ყიჟინას ჩაექრო ჩემს გულში შენდამი ჩემი უიმედო სიყვარული, ან პირველ ტყვიას გაეგმირა ჩემი მკვნესარე გული და საიქიოსაც თან წამეღო ეს ჯოჯოხეთური გრძნობა შენდამი! . მაგრამ ამ დროს სხვა უფრო დიდი უბედურება დამატყდა თავზე... პირველმა მე გავიგე რომ ჩვენ გაგვცა, ჩვენ გვიღალატა შენმა სატრფომ—ლეონ ბერგმა..

განო. (ძალზე აღშფოთებული) კიდევ დაიწყე? ხმა, კრინტი არ დასძრა!

ირაკლი. (ხვეწნით) გაფიცებ, რაც კი წმინდა გაქვს, მომისმინო... გაგიგონია, თუ არა ბერგისაგან თქმა: „ნომერი ოცდა ერთი, ჯვრით!“ ეს არის მისი პაროლი, მისი ჯადოსნური ნიშანი გამცემლობისა.. იმ შავბნელ ღამეს, როცა ჩვენი ამხანაგები დაატუსაღეს და მე დასაჭერად გამომიდგნენ, ხევის თავში დავიმალე, იქიდან ხვრელით გაველ ვასოს სახლის ქვეშ და... ყველაფერი მესმოდა, ყველაფერს ვხედავდი. როცა ბერგს ჟანდარმები შემოეხვივნენ და სხვასავით დაჭერა და ცემა მოუნდომეს, მან მედიდურად შეუტია: „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“-ო. ჟანდარმები მოწიწებით ჩამოდგნენ განზე და სამხედრო სალამი მისცეს... მითხარ-მეთქი გაგიგონია, თუ არა ეს სიტყვები ბერგისაგან?

განო. (თვალებს უფრო აჭყეტს, ყურებს იჩიჩქნის, თითქო რაღაცას იგონებსო, ფითრდება, იხლაკნება და უმწეოდ ჩაიკეცავს სავარძელში.)

ირაკლი. (შეატყობს ყოყმანს და დაჟინებით განაგრძობს) „ნომერი ოცდა ერთი, ჯვრით“ შეიქმნა ჩვენი საქმის დამღუპველი. მე მაშინვე დავიფიცე ჩემს გულში, არ მეპატიებინა ამხანაგების ღალატი...

განო. (მუხლებზე იდაყვებს დაიყრდნობს, თავს დასდებს ხელის გულებზე და თითქოს საზარელ სიზმარშიაო, შეშლილის სახით ყურს უგდებს ირაკლის.)

ირაკლი. (განაგრძობს) „ნომერი ოცდა ერთი, ჯვრით“! აი თურმე რა ახდენდა ხალხის საქმეს, აი თურმე რა იწირავდა უმანკო და წმინდა სისხლს!... გულის ტკივილით გავაყოლე თვალი ნაცემ-ნაგვემ თევდორეს.. სულს მიწუხებდა ქეთოს ქვითინი, საბრალო ნინოს კვნესა, როცა თმებით მიათრევდნენ მას. სისხლი ამიმღვრია ჩვენი ლადოს შეურაცხყოფამ, როცა იმ შავარდენს ჩვენს შორის, იმ ამაყ არწივს ლიახვის ხეობისას, მუჯლუგუნების ცემით მისდენიდნენ... ერთი ვიფიქრე: გავარდები—და ყველას დავხოცავ მეთქი, მაგრამ.. თავი შევიკავე, ამხანაგების უბედურებამ უფრო დიდი აზრი მიკარნახა: მოითმინე, ხვალ მონახე ბერგი და შური იძიე. მთელი ღამე ვასოს სახლის ქვეშ გავათიე. მეორე დღეს შევუდექი ბერგის კვალის ძებნას და საღამოს მატარებელზე შევნიშნე, რომ თქვენ სადღაც მიემგზავრებოდით /გამოვყე იმავე მატარებელს და... დაგიჭირეთ კიდეც ზღვის პირად.. შენს დამნახველს მუხლები ჩამეკეცა.. შენმა უმანკო ალერსმა ბერგისადმი ხელი ამიკანკალა. და... იქვე ვერ გავათავე ხალხის მოღალატე!... დამღუპველი ჩვენის ძმებისა, ჩვენის ახლო ნომავალისა!..

განო. (თან და თან უფრო იფერფლება, სახეზე იმლება, ოხრავს, იხლაკნება, იტანჯება)

ირაკლი. განო, განო! არა გჯერა ჩემი თქმა, ჩემი სიტყვები? აბა, ჰკითხე შენს თავს: სადა ხარ ახლა, ვინ გივლით ასეთის მზრუნველობით? რათ დაგტრიალებენ თავს ამდენი ექიმები? საიდან? რისთვის, რა დამსახურებისთვის? თითოეულს ჩვენთაგანს სიამოვნებით ძაღლივით ჩამოარჩობენ, თუ ხელში ჩავუვარდეთ და ლეონს კი ასეთის მზრუნველობით ექცევიან?... შენა გგონია არ გვიცნობენ? მაგრამ ის წყეული „№ 21 ჯვრით“! აი თქვენი პატრონი! მეც კი მშველიან ის წყეული სიტყვები, ბერგის თანამოაზრე ვგონივართ და იმიტომ ასე თამამად დავდივარ დღეს ...

განო, განო! წავიდეთ, გავიქცეთ აქედან... ნუ დაიღუპავ თავს, ნუ დაიმსახურებ ხალხის წყევას! ნუ გააქელვინებ შენს გრძნობას ულირსს ადამიანს, ნუ შეარცხვენ შენს სახელსა და შენს წარსულს. გაძლევ სიტყვას რომ თვალითაც არ დაგენახვო... თუ ხალხის სიყვარულმა არ დასძლია ჩემი შენდამი სიყვარული, ეს ხომ თანა მაქვს (აჩვენებს რევოლვერს) ექვსსავე ტყვიას შიგ გულში დავიხლი, ოღონდაც კი შენ იყავ ბედნიერი და სახელოვანი, განო, განო!... (ქვითინით დაეცემა განოს მუხლებთან.)

(მოისმის კარების მედგარი რახუნი და ჟღარა-ჟღური. ირაკლი ყურს წაუგდებს, განო გაშტერებული ნელ-ნელა ზეზე დგება. კიდევ მოისმის რახუნი. ირაკლი გადახტება და ისევ ფარდას ამოეფარება, განო კარებს აღებს და შემოდის როტმისტრი შვილიევი, უკან მოსდევს რამდენიმე ჟანდარმი.)

IX

როტმისტრი. (აჩქარებულად, ქალს რომ დაინახავს ღიმილით) დეპეშამ დაიგვიანა. სად არის ჩემი მეგობარი, მაჩვენეთ ჩემი ძვირფასი ლეონ ბერგი!...

განო. (მოკუნტული, მობლუნძული, სახე შეშლილი, ამოიკვნესებს) ვინა გნებავთ?

როტმისტრი. (დააცქერდება განოს... მერე რამდენიმე ნაბიჯით უკან გადახტება, და რიხ-დაკარგული, სათვალეებს მოიხსნის, თვალებს იმშვენეტს.) ბაბალე, შენა ხარ? აქ რა გინდა, საიდან გაჩნდი? (უნდა მივარდეს და ხელები დაუკოცნოს) (მაგრამ ისევ უკან დაიწევს, წარბებს შეიკრავს და სევდანარევისა და თან ცბიერს ღიმილით ეტყვის) ააა! ახლა კი ყველაფერი მესმის! შენა გქვიან განო ლიმაური? განა შენთვის მეხვეწებოდა ლეონ ბერგი:—ხელს ნუ ახლებო?!

განო. (გონება დაბნეული) რა გინდათ აქ? ვინა გნებავთ?

როტმისტრი. ველარ მიცანი? მე ხომ ერთს დროს შენი მეზობელი ვიყავ... შენი პირველი სატრფო, შენი კირილე. (არეული) ხა, ხა, ხა! რა უცნაური შეხვედრაა... რა დაცინვაა ბედისა! რა დამცირებაა ადამიანისა! განა იმიტომ გამომექეც მე—ჟანდარმს,—რომ მერე ჩემს ჯაშუშს დასჯდომოდი ხასად? ხა, ხა, ხა!...

განო. (შეშლილივით) ვინა გნებავთ? რას ამბობთ?

როტმისტრი. (დაცინვით) მე ჯერ მინდა ვნახო ჩემი მეგობარი ლეონ ბერგი და მერე კი შენ გაგისწორდები!

განო. (სულ მთლად მოსწყდება, ბარბაცებს, ფითრდება, კანკალებს, სცდილობს გონს მოვიდეს, ყველაფერი გაითვალისწინოს, ასწონ დასწონოს.)

ბერგი. (გამოიღვიძებს) განო! განო!

განო. (ბერგთან მიირბენს. ამღვრეულის თვალებით დააშტერდება) ლეონ! სადა ვართ? ვინა ვართ? (ისევ გამოიქცევა, წაავლებს შვილიევს ხელს და ბერგთან მიათრევს) ლეონ... ლეონ, ვინ არის ეს შენი?

ბერგი (შეკრთება, უცნაურის, არაადამიანურის ღიმილით, ზეზე წამოიწევს.)

როტმისტრი. როგორა ხარ, ჩემო მეგობარო. მადლობა ღმერთს გადაურჩი იმ ძაღლებს!

განო. (თმაში ხელებს იტაცებს (უცნაურის ხმით) მაშ... ყველაფერი მართალია, ლეონ?

ირაკლი (რევოლვერ ამოღებული გამოვარდება) ყველაფერი მართალია, ჩემო განო, ხალხისა და შენი ერთგული ირაკლი. შენ არ მოგატყუებს! ვინ რომ შენც

იმერეთის სამღვდელოების კრება.

მოძრაობის შემდეგ იმერეთის საეპარქიო სამღვდელოების კრება ყოველთვის უსიცოცხლო და უსულგულო ადამიანების თავყრილობას წარმოადგენდა ხოლმე. გული სევდით გევსებოდა, როდესაც ჩვენი სამღვდელოების ასეთ დაკნინებას, დაჩიავებას უყურებდი, თვალით, რასაც ხედავდი ის გულს არ სჯეროდა დაუჯერებლობის საფუძველი და მიზეზიც ხომ ბევრი ჰქონდა ამ კრებებზე დამსწრე, ჩვენი კეკლუცი სამშობლოს, მოყვარულ ადამიანს. რითი უნდა წარმოედგინა, რომ ჩვენი დიდებული და თავგანწირული ერის სისხლისა და ხორცისაგან ნაშობი სამღვდელოება ისე დაეცემოდა, რომ ოდესმე ხალხის წინამძღვარი და გზის მაჩვენებელი, დღეს ამავე ხალხს და მის ინტერესებს უარს ეტყოდა და მის ეროვნულ იდეალებს საქვეყნოდ არ აღიარებდა.

ჩვენდა სასიხარულოდ თურმე სამღვდელოების ასეთი მიჩუმება დროებითი ყოფილა. იგი, დაქუცმაცებულ ძალას თავს უყრიდა. ამის მაგალითი აშკარად დაგვანახვა დღევანდელმა კრებამ, რომელიც 16 ამა დეკემბერს გაიხსნა ქ. ქუთაისში. სრული საკმაო შეიქნა ყოვლად სამღვდელოს სიტყვები „გუშინ რაც მოუხერხებელი იყო დღეს მოსახერხებელია, ამისათვის წარმოიდგინეთ ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო კითხვები და განვიხილავთ“ ამ სიტყვების შემდეგ კრებამ ფერი იცვალა, აღფრთოვანდა, გამხნევდა, რასაც განსაკუთრებით დიდათ ხელი შეუწყო, კრების თავმჯდომარემ, ლაღი სვანეთის შვილმა, პატივცემულმა დეკანოზმა ნ. იომნნე მარგიანმა. ერთხმად დაისვა კითხვა: 1) ივერიის ეკლესია და ავტოკეფალია, 2) საეკლესიო ბეჭდები და მათზე ქართული წარწერის აუცილებლობა, 3) ნათლობა და ნაციონალური სახელების დარქმევა, 4) ყველა საეკლესიო საბუთების უსათუოდ ქართულ ენაზე წარმოება.

ამ კითხვებზე მსჯელობის ნება დართო ყ ღ სამღვდელო გიორგიმ. დიდ სიამოვნებას იგრძნობდა მორწმუნე კაცის გული, როდესაც კრებამ დაადასტურა, რომ ივერიის ეკ. ისევე მკვდარია უავტოკეფალიოდ, როგორც სარწმუნოება უკეთილსაქმეოდ.

ამ კითხვის შესახებ ამორჩეულ იქმნა საგანგებო დეპუტაცია სამი სამღვდელო პირისაგან შემდგარი, რომელიც, დღეს ან ხვალ უსათუოდ უნდა წარუდგეს მეფის ნაცვალს, სამღვდელოების და ქმრთველი ხალხის სურვილი გადასცეს.

დანარჩენი კითხვების შესახებ მ. სპირიდონ ლეკვეიშვილმა, მშვენიერი და საფუძვლიანი მოხსენება წარმოუდგინა კრებას, რომელიც კრებამ ერთხმად მიიღო.

ოფიციალურ კითხვებს შორის ყველაზე დიდი კამათი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგე მართველმა გამოიწვია. ეს ვაჟბატონი დღეს მეორე „ვოსტორგოვია“ ჩვენში. ქართულ ენას სდევნის, ქართველებს დაგვცინის და ჩვენ შვილებს უდიერად ეპყრობა. ასეთი აღმზრდელი ვინ არ იცის, რომ პირდაპირ მავნებელია ჩვენი ახალი თაობისათვის. ამის გამო, სხვათა შორის, კრებამ დაადგინა ეთხოვოს დეპეშით ჩვენი ქვეყნის უერთგულეს შვილს, სახელმწიფო საბჭოს წევრს ბ.ნ აფხაზს, იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რომ მოგვაშოროს ასეთი ადამიანი თავიდან. სულითა და გულით ვუსურვებ ამ გამოფხიზლებულს კრებას ნაყოფიერ მუშაობას. ეს კრება კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს,—

მ. ბუაჩიძე.

კონდუქტორების მდგომარეობა

ჩვენში.

თფილისში მყოფ სამგზავრო მატარებლების კონდუქტორების ოჯახებში დიდი უბედურება დატრიალდა. რკინის გზის მთავრობამ რუსეთიდან ჩამოიყვანა 300 მეტი კონდუქტორი ქალი. ქალებს ამწესებენ სამგზავრო მატარებლების კონდუქტორებათ, კაცები კი გადაყავთ საბარგოზე, ეგრედ წოდებულ ტორმოზის კონდუქტორებად. კონდუქტორების უმეტესობას თფილისში ყავს ცოლშვილი, ზოგის შვილები სკოლებში სწავლობენ... ასე, თუ ისა საზამთროთ მოწყობილნი არიან. ახლა მათი აყრა, უცხო ადგილას გადაყვანა და შეუჩვეველი საქმეზე დაყენება— საცოდაობაა. კაცები პასაჟირის კონდუქტორობაში თითქმის ჩაბერდენ, მთელი თავის ახალგაზდობა რკინის გზას შეალიეს და ახლა მათ, წინწასვლის მაგიერ, დაბალ საქმეზე ერეკებიან.

ბარაქალა, ასე უნდა სამსახურის დაფასება!

თან. აზ.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ახალდაბა (ბორჯომის ხეობა) 15 დეკემბერს აქ დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება „იმედი“ აქაური სადგურის უფროსის მახარაძის დახმარებით და ადგილობრივ მღვდლის დახმარებით. პირველად, როცა ამხანაგობა ღარიბი იყო, გლეხობა ეჭვის თვალით უყურებდა ამ სასარგებლო საქმეს. ამ დროს კარგი დახმარება გაუწია უდიდესმა გამგემ; ამ საზოგადოებას ასესხა 3000—5000 მანეთამდე ფული უსარგებლოდ. ამ ფულით შეიძინეს სიმინდი და ხალხიც დარწმუნდა, რომ კოოპერატივს სარგებლობა მოაქვს მათთვის. დღეს ორასამდე წევრია. 15 დეკემბრიდან 1915 წ. 15 ივლისამდე 1916 ანგარიშიდან სჩანს, რომ საზოგადოებას 1807 მანეთი მოგება დარჩენია.

— **ს. ლაგოდეხი** აქაც პურის კრიზისმა თავი იჩინა. რამდენიმე დღე ადგილობრივი კოოპერატივი ფქვილის უქონლობის გამო დაკეტილი იყო. ამით დროებით ისარგებლეს კერძო მეფურნეებმა და გამომცხვარ პურს ასაღებდენ გირვანქას 13 კაპეიკათ. შემდეგ კოოპერატივმა მიიღო ფქვილი, რომელიც აწვდის საზოგადოებას 11 კაპ. საუბედუროთ არც იქ ცხვება კარგი პური. ხალხი უშაქრობას განიცდის.

— **სოფ. საჭილაო.** საშინელი სიძვირის გამო აუტანელ მდგომარეობაში არიან ხე-ტყის მჭრელი ქარხნის მუშები. ერთი თვეა რაც მუშებმა ქარხნის გამგეს სთხოვეს ხელ ფასის 50% მომატება, დარაჯთა თვითნებისაგან დაცვა და ხვედრი ფულის დროზე დარიგება. ეს თხოვნა რამდენჯერმე განიმეორეს, მაგრამ გამგე რადაც აჩიანურებს საქმეს. შემდეგ გაიგეს, რომ გამგეს 50% პროცენტით ჯამაგირის გადიდება მეტათ ჩვენებია და დათანხმდენ 40%, მაგრამ მიუხედავად ამისა საქმე ჯერ წინ არ მიდის.

— **სოფ. რკვია** (შორაპნის მაზრა) ეს სოფელი მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ საქმიანობას. სამაგიეროდ დიდ მოწონებაშია მკითხავ მარჩიელებთან სიარული. საწყალი ხალხი თვითვე ჩაუკვირდეს თავიანთ მდგომარეობას და გვერდს აუვლიდენ უსარგებლო ხარჯებს ამ სოფლის საზოგადოებას აქვს აღებული კოოპერატივის ნებართვა და ჯერ კიდევ იმდენი მომხმარებლები ვერ შეუძენია, რომ კოოპერატივი დაეხსნა.

— **სოფ. ქოლობანი** (სენაკის მაზრა) ამ სოფელს დღითი დღე ეტყობა გამოფხიზლება და აყვავება. ამ მოკლე ხანში აქ დაარსდა სხვა და სხვა კულტურული დაწესებულება, მათ შორის საყურადღებოა უფასო წიგნთ საცავ სამკითხველოს საფუძვლის ჩაყრა. დღეს-დღეობით ყველა ქართული და ზოგი რუსული ჟურნალ გაზეთები მოგვდის, მხოლოდ წიგნი ცოტა გვაქვს.

— **სოფ. ეწერი.** (ქუთაისის მაზრა) ამ ორი წლის წინად სახალხო სკოლების დირექციის განკარგულებით სახალხო სკოლებში მოწაფეებზე სასწავლო ფულის გადახდა გაუქმებულ იქმნა და სკოლის შესანახი ხარჯები მთელ საზოგადოებას დაეკისრა, რის შესახებაც სახალხო ყრილობებზე სათანადო დადგენილებაც გამოიტანეს. ამის შემდეგ მოწაფეთა რიცხვმა იმატა. წინად ღარიბ მშობლებს სასწავლო ფულის გადახდა უჭირდა, დღეს კი იგი სიამოვნებით გზავნის თავის შვილებს სკოლაში. აქ ორი წლის განმავლობაში ორ კლასიან სასწავლებლის გვერდით ორი პარალელური განყოფილებაც გაიხსნა.

რუსეთი.

—,,რეჩ''-ის სიტყვით შობის წინა დღეებში მოწვეული იქნებიან სათათბიროში მინისტრები, რომელთაც ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები უნდა გადასწყვიტონ

-- მოსკოვში კრებების აკრძალვის გამო მემარცხენე ფრაქციებმა შეკითხვა შეიტანეს სათათბიროში. მთავრობამ პასუხი არ გასცა შეკითხვას და დაჰპირდა წერილებით გიპასუხებთო.

— როდესაც სათათბიროში კრებების დახურვის შესახებ, შეტანილ შეკითხვის განხილვას შეუდგნენ, უცბად ხრეპოვმა ტელეფონით, ხოლო პროტოპოვმა წერილობით როძიანკოს მოსთხოვეს, რომ შეკითხვა ხალხის დაუსწრებლად განეხილათ, სათათბიროს თავმჯდომარემ მომხსენებელი მე ათე სიტყვაზე შეაჩერა და დარბაზის კარები დაახურვინა.

ვაჭრობა მრეწველობა.

ასტრახანში დაარსდა ახალი სატყის მრეწველო საზოგადოება, რომელმაც შეისყიდა ერთი ცნობილი ფირმის მოწყობილება და საქმეები. ახალი საზოგადოების თავმჯდომარედ დანიშნეს გამოცდილი ტყის მრეწველი სვეშნიკი დირიქტორებათ ძმ. მირზოევები. კავკასიის განყოფილების დირექტორად იქნება საფაროვი ეს განყოფილება აპირებს ქართლ—კახეთში და იმერეთში შეიძინოს დიდ ძალი მუხის ხე, რის მოთხოვნილებაც ბოლო დროს ერთობ გაიზარდა.

— შვედელმა კაპიტალისტმა გრინვოლმა მოსკოვში დაარსა ავეჯეულობის ფართე ქარხანა. გრინვოლს წინად მოსკოვში განყოფილება ჰქონდა მარტო და ეხლა, რაკი შვეციიდან ავეჯეულობის გადმოზიდვა, გაძნელდა აპირებს რუსეთის ხე ტყით ისარგებლოს ამ მიზნით გრინვოლს უკვე გამოუგზავნია თავის წარმომადგენელი კავკასიაში, საიდანაც სურთ გაზიდონ წიფლის ხე.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ფართლეულობაზე და განსაკუთრებით მიტკალზე გადასახადის დაწესების პროექტი შეუმუშავებიათ. ამ პროექტის მიხედვით მძიმე მიტკალზე გირვანქაზე 8 კაპ. იქნება დაწესებული, ხოლო სუბუქზე 24 კაპ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან — დილის — 7 ს. 25 წ.
„ — საღამ. — 8 ს. 50 „
ბათომიდან — დღისით — 12 ს. 40 „
„ — ღამის — 2 ს. 20 „
ფოთიდან — დილის — 10 ს. 26 „
ტყიბულიდან — საღამოს — 7 ს. 00 „
შორაპნიდან — დილის — 9 ს. 24 „

ქ ქუთაისიდან გადის

თფილისისაკენ — დილის — 11 ს. — „
„ — ღამის — 12 ს. 15 „
ბათომისაკენ — საღამოს — 7 ს. 3 „
„ — დილის — 5 ს. 55 „
ფოთისაკენ — დღისით — 4 ს. „
ტყიბულისკენ — დილის — 8 ს. 13 „
შორაპნისაკენ — დღით — 5 ს. 18 „

საჭიროა ბინა 4—6 ოთახით და სამზარეულოთი დასავლეთ საქართველოს მთავრობის აგრანომისთვის. მისამართი: აბორინის შესახვევი. მთავრობის და ერობის აგრანომის კანცელარია.

გამოვიდა და იყიდება მშვენიერი
ქართული კედლის კალენდარი
პ. ოცხელის წიგნის მაღაზიის მიერ გამოცემული ქუთაისში
ფასი 4 აბაზი.

ქ თფილისში დაარსდა
მელნის ქარხანა
„ალაროდია“
ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,
ალიზარინის ფერისას
პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით. ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათიით დაეთმობათ.
მელანი ასლის გადასაღებადაც (კოპიროვკა) კარგია.
დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება ადგილობრივ თუ გაგზავნით.
მისამართი. თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცენ სამკურნებლო საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნერვიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის ქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ —სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრნული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალება, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავათმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **ა. შავერზაშვილ** სააფთიაქო მაღაზიაში. გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ გათავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში. (წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.

დაიღუპე და აღარც მე მინდა უშენოს სიცოცხლე! (უნდა ესროლოს როტმისტრს, მაგრამ კარებთან მდგარი ჟანდარმი გადმოხტება, ხელს აუკრავს და ირაკლის დაჭერასაც აპირებს დიდი ჩოჩქოლია, ირაკლი ყველას ხელიდან გაუსხლტება, ჰკრავს წიხლს ფანჯარას, ფანჯარა გაიღება და ირაკლი კედელზე ჩაფოფხდება.)

როტმისტრი. ესროლეთ! მოჰკალით! ცოცხალი არ გაუშვათ! (ჟანდარმები გარედ გაცვივიან. დიდი სროლა და ხმაურობაა, როტმისტრი აღელვებული დარბის.)

განო. (მივა ბერგთან, დიდხანს დააცქერდება და გიჟივით გადიხარხარებს) მაშ, მომატყუე?.. მაშ, დასწიხლე ჩემი წმინდა გრძნობა, ხალხის წმინდა საქმე?... (გიჟივით ხარხარებს) ანგელოზის გარეგნობაში, ხშირად თურმე გველის სულიცა ყოფილა. (ბერგი იხლაკნება, ბალიშზე თავს აწყვეტავს) რას გაჩუმებულხარ, მოღალატევ?! მე ქართველი ქალი ვარ და დიდ სიყვარულთან დიდი მძულვარებაც შემიძლია. (საყელოს ჩამოიგლეჯს) მშვიდობით, თავ-დავიწყებავ, მშვიდობით ტკბილო იმედებო! (მივარდება ბერგს, გადახდის საბანს, საჩქაროდ შეხსნის ჭრილობაზე შემოხვეულ ტილოს და ძირს გადმოაგდებს. ბერგს ჭრილობიდან სისხლი წასკდება. განო გულზე ხელს მოიჭერს და დემონიურად დაჰხარხარებს, სახე შეშლილი, გაოგნებულ-გაბოროტებული.)

როტმისტრი. (მიირბენს ბერგთან) რა ჰქენი, შე შეჩვენებულო!

განო. ახლა შენ მოუარე შენს მეგობარს. მსგავსი მსგავსს ეძებს. (გულიანად მიაფურთხებს ლეონს და ისტორიულის კივილით დაიწყებს თმისა და გულმკერდის ხოკვას.)

ჟანდარმები. (შემოცვივიან) გაგვექცა თქვენო აღმატებულებავ!

როტმისტრი. შეგირცხვათ ვაჟკაცობა და მოხერხება, თქვე არამზადებო. მოგკლავთ! დაგარჩობთ, დაგხვრიტავთ! (შფოთავს, მზად არის მივარდეს თავის ხელქვეითებს და კისერში ხელი წაუჭიროს, დარბის, აქეთ იქით აწყდება) (შემორბის მესამე ჟანდარმი) (გაუბედავად) თქვენო აღმატებულებავ, (დეპეშას გადასცემს.)

როტმისტრი. (გახსნის... ელდა ეცემა, დაიღრიალებს) როტმისტრი ხრაპი მოუკლავთ! ციხე გაუტეხიათ და გაქცეულან თევდორე... ლადოც... ქალებიც! (სიმწუხარისაგან სავარძელში ჩაიკეცავს)

განო. (გონს მოვა, გახარებული) უბედური მეც ვკმარვარ. (დაიჩოქებს, ცას თვალებს მიაპყრობს.) ღმერთო, შენ უშველე ყველა დაჩაგრულებს!

როტმისტრი. (გაცოფებული) გაათრიეთ ეს დედაკაცი! ყველას ჯავრს ამაზე ვიყრი, გაუფთხილდით, ესეც არ გაგექცეთ, თორემ მოგკლავთ, დაგარჩობთ, დაგხვრიტავთ! (ბერგთან კვლავ მიდის, მის აყენებასა სცდილობს)

განო. (რომელსაც ჟანდარმები შემოეხვევიან) სხეულის მეუფე არ არის სულის მეუფეც!.. გულთა სწრაფვა გამოფხიზლებული ხალხისა ერთხელაც იქნება თქვენც პასუხს მოგთხოვთ!

ბერგი. (წამოიკნავლებს) ვკვდები... მიშველეთ!

როტმისტრი. ექიმი... ექიმი! ჩქარა! (ექიმი შემოდის, უკან მოსდევს და მოწყალებისა, ყველანი ბერგს უვლიან ჟანდარმებიც გაბუცდებიან.)

განო (ისარგებლებს შემთხვევით, შეხტება ფანჯარაზე და დაიყვირებს) მკვდარ გულს ველარ ატარებს ცოცხალი სხეული. გაუმარჯოს გამოფხიზლებას გაუმარჯოს განთიადს... გაუმარჯოს ხალხს (ფანჯარიდან გადავარდება.)

და მოწყალებ. (ფანჯარასკენ გაექანება, გადახედავს) ვაი მე! დაიღუპა! დაიღუპა, უბედურის შვილი!

ექიმი (რომელიც დახრილი იყო და ბერგს გულს უსინჯავდა, წამოდგება) გათავდა!

როტმისტრი (შუბლზე ხელს შემოიკრავს გარედან მოისმის გუგუნი და შემოაქვთ **განოს** დასახიჩრებული გვამი. ჟანდარმები გაბუცებულნი დგანან და შუბლზე ხელს იდებენ.

როტმისტრი. (დააცქერდება განოს გაფითრებულ სახეს) მოკვდა, წავიდა .. მაგრამ განა მოკვდება როდესმე ასეთი ხალხის ურჩი გულის-თქმა? (დაემხობა განოს გვამს, ყრუდ ქვითინებს.)

ფარდა

ია ეკალაძე.

ნოემბერი 1916 წ.
ქ. ქუთაისი.